ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი წელიადზე მეტია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ატარებს კოვიდ-19 -ს საწინააღმდეგო ღონისძიებებს კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით.

ღონისძიებები ითვალისწინებს ინფიცირებულითა ეპიდზედამხედველობას, კონტაქტების დადგენას, მათზე ზედამხედველობას, ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენას, მოსახლეობის ტესტირებას უპირატესად ანტიგენის სწრაფი ტესტით, ასევე პჯრ მეთოდით.

ყველა ტესტირებული პირი აღირიცხება კორონავირუსის დიაგნოსტიკის ელექტრონულ სისტემაში, სადაც ფიქსირდება პაციენტის დემოგრაფიული მონაცემები, სიმპტომები და კვლევის შედეგი. დატესტილი და სისტემაში შეყვანილი გვყავს 16000 მდე პირი, ხოლო ორივე კლინიკაში 14000 მდე სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტი.

სულ დადასტურებული გვყავს 1355 კოვიდინფიცირებული პირი (აქედან 884 გასულ წელს 471 მინდინარე წელს) გამოჯანმრთელებულია 1274, გარდაიცვალა 16 ადამიანი. მოძიებული გვაყავს 3000 მდე კონტაქტირებული პირი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N975-ის შესაბამისად ვართ დარეგისტრირებული, როგორც ნიმუშის ამღები დაწესებულება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში და ვაწარმოებთ მოქალაქეთა ტესტირებას რეგულაციების დაცვით. სავალდებულო ტესტირებას ექვემდებარება საქართველოს მოქალაქეები, განსაზღვრულია პრორიტეტული ჯგუფები, რომელთაც უტარდებათ გეგმიური ტესტირებები სხვადასხვა პერიოდულობთ. ეს მიზნობრივი ჯგუფებია ბაღებისა და სკოლების პერსონალი, პოლიციისა და სამაშველოს თანამშრომლები, მედიცინის მუშაკები,სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში დასაქმებული პირები და სხვა.

ჩვენს ფუნქციებში შედის ტესტებით, სინჯარებით, აპლიკატორებით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ადგილზე ჩამოტანა, კლინიკებს ჩვენს მიერ მიეწოდებათ ტესტები და შესაბამისი სახარჯი მასალები.

ტესტირებებში ჩავრთეთ 9 სოფლის ამბულატორია ესენია: კოხნარი, საჭამიასერი, დიდი ვანი, ერკეთი, ნაბეღლავი, ზოტი, ჯვარცხმა, ხიდისთავი, ვან-ზომლეთი, აღნიშნულ ამბულატორიებში ტარდება მხოლოდ ანტიგენის სწრაფი ტესტით ტესტირება.

ეპიდსიტუაციის და მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად ვატარებთ ტესტირებებს სოფლებში, სიმპტომიან და საეჭვო პირებს ვაკითხავთ ბინაზე ინფექციის გამოვლენის მიზნით. ასვე ვატარებთ მასიურ ტესტირებებს სოფლებში (ჩატარებული გვაქვს მასიური ტესტირებები სოფელ ბუკნარში, ბასილეთში, ქვენობანში, გოგოლესუბანში, ამაღლებაში, შუაამაღლებაში, სამებაში)

ADD SCAN TO ANY WEBSITE asprise.com/Scanner.js FOR EVALUATION USE ONLY

რაც შეეხება ვაქციანციას, პირველად ჩვენს მუნიციპალიტეტში ვაქცინაცია დავიწყეთ 17 მარტს, რომელშიც განკუთვნილი იყო მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის, ამჟამად ქვეყანაში ვაქცინაცია უტარდებათ 18 წლის ზედა ასაკის პირებს, მაგრამ ჩვენს მუნიციპალიტეტში ტარდება მხოლოდ სინოფარმით და სინოვაკით ვაქციანაცია. პროცესში ჯერჯერობით ჩართულია მხოლოდ „კლინიკა მედალფა", თუმცა უკვე კლინიკამ „ჯანმრთელობის სახლი გურიაში" გააკეთა განაცხადი ვაქცინაციიაში ჩართვის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრში. დღეის მონაცემებით ჩვენთან აცრილია 462 პირი, აცრები ისე გრძელდება. ტრენინგები ჩაუტარდათ ოჯახის ექიმებს კოვიდ - 19 ის ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესების შესახებ. სესიებს უძღვებოდნენ დაავადებათა კონტროლის ცენტრის სპეციალისტები და ცნობილი ექიმები.

დღეს რეალური მდგომარეობიდან გამოსასვლელად და პანდემიის შესაჩერებლად ერთადერთი გზა არის ვაქცინაცია, ამისათვის საჭიროა დამატებითი სივრცეების გამოყოფა და შესაბამისი პირობის მოწყობა მოსახლეობის მასიური ვაქცინაციისთვის